№ 42 25 თებერვალი, კვირა 1866—1879 25 თებერვალი, კვირა № 42

დროება

უკველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“

გაზეთის ფასი: თთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ერთ ფურცელ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთარგმნელთ სტროქონზე—5 კაპ., ბეჭდ. ბოლოს ცალ-ცალკეთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გ. ასწოროს და შემოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. ... ბეჭდილი სტატიები ავტორს ... ...ბუნდება.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

პეტერბურღი, 23 თებერვალს. გაზეთს „რუსის ინვალიდში“ იწერებიან, რომ ღენ. ტოტლებენი წამოსულა ადრიანოპოლიდამ. აქ ქალაქის მცხოვრებლებს წარუდგენიათ ტოტლებენისათვის რუსეთის იმპერატორისათვის მისართმევი ადრესსი, რომელშიაც გამოცხადებულია უგულითადესი მადლობა ხალხისა იმ სულ-გრძელებისა, მფარველობისა და სამართლიანი მოქმედებისათვის, რომელიც გამოიჩინა რუსეთის ჯარმა და მთავრობამ რუმელიაში მყოფობის დროსაო.

ტირნოვო, 22 თებერვალს. „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია ტირნოვოდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ბოლგარიის დეპუტატთა კრებას თავის თავსმჯდომარედ ამოურჩევია ეგზარხოსი ანფიმი.

ამავე გაზეთის სიტყვით, ოთხი ათასი დედა-კაცი მოგროვდა ადრიანოპოლში რეუფ-ფაშის სახლის წინ და გამოაცხადეს უკმაყოფილება ოსმალოს მმართებლობაზედ. მაკედონიაში ოსმალებმა ისევ დაიწყეს ხალხის შეწუხება.

ვეტლიანკა, 22 თებერვალს. „ბოლოსის“ დეპეშა: ამბობენ, რომ როგორც დოქტორები მიეხალდი და ბირში მოელენ, იმწამსვე კარანტინი მოისპობაო.

პეტერბურღის ბირჟა, 22 თებერვალს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	—96	—50
მეორე— — — — — —	—96—	„
მესამესი — — — —	95	—50
მეოთხესი — — — —	95	—75
ადმოსავლეთის პირ. —	93	—12
ადმოსავლეთის მეორე—	9„—	3
ოქრო, ½ იმპერიალი —	8	—42
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი—	—93—	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	235	—50
მეორე სესხის — — —	236	—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23	—94	პენსი
ამსტერდამი— —	—116	—25	ცენტი
ბერლინი— — —	—200	—25	ჰენინგი
პარიჟი — — —	—245	—	„ სანტიმი
კავკასიის კერასინი—	„—	„	

საქართველო

ბოლგარია

განთავისუფლებული ერი

10 თებერვალს ძველს ბოლგარიის სატახტო ქალაქში ტირნოვოში მოხდა პირველი კრება ახლად განთავისუფლებული ბოლგარიის ერის წარმომადგენელთა.

რუსეთისაგან დაყენებულმა დროებითმა გამგებელმა ლონდუკოვ-ქორსაკოვმა გამოუცხადა ბედნიერს შეკრებილებას, რომ დღეს თქვენ აქ ხართ მოწვეულნი თქვენის ძვირფასის ქვეყნის ახალი თავისუფალი გამგეობის დასაწესებლათო და თქვენი საკუთარი ხელმწიფის ამოსარჩევათო. ამასთანავე იმან წარუდგინა კრებას ახალი სახელმწიფო წესება გადასასწორებლათ ისე, როგორც იმათი ქვეყნის სარგებლობა ამას მოითხოვდა.

აქ, ამ კრებაში მოვიდენ იმ ბოლგარიის ნაწილის ამორჩეულებიცა, რომელნიც ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესის ხელ-შეკრულობის ძალით ისევ ოსმალოს მფლობელობის ხელ-ქვეით დარჩენ. იმათ ლონდუკონ-ქორსაკოვმა გამოუცხადა, რომ ისინი თავიანთ ძმების კრებაში ჯერ კიდევ ვერ დაესწრებიანო.

ბოლგარიის ერის აღდგინების თაობაზე ინგლისის გაზეთი „Times“, რომელიც უფრო ლორდის ბიკონსფილდის აზრებს ბიჭყვება, აი რას ამბობს:

„ბოლგარიის საერო კრების შედგენით უნდა ვსცნოთ, რომ ამიერითგან ევროპის სახელმწიფოებს ერთი ახალი სახელმწიფო კიდევ შეეძინა. ეს არის ამ დროის ნაშობი საკვირველი ერი, რომლის პირველ მოძრაობას და ფართხალს აწ მთელი ქვეყანა დიდის ყურადღებით დაუწყებს ცქერას.

„როგორც ყოველი საკვირველი და

ფელეტონი

მასლაათი

ბამტყუენებული წინასწარმეტყველება—კიდევ ქალაქის თავის არჩევანი.—ჩემი ოცნებითი სიტყვა ხმოვანებისადმი.—ჩემი კანდიდატი.—„თფილისის მოამბისა“ და „ობზორის“ შეჩერება.—რას ამბობენ ამაზე საზოგადოებაში?—რა მიზეზს მიაწერენ.—ვის ეწვინა და ვის ეამა?—რჩევა უფ. „ობზორის“ რედაქტორს.—

—

მგონია, რვაჯერ ვიწინასწარმეტყველე მე, რომ, მადლობა ღმერთს, დღეს გავათავებთ ამ დავი-დარაბას და, ავათ იქნება თუ კარგათ, ქალაქის თავს ამოვირჩევთ-მეთქი.

რვაჯერ ვიწინასწარმეტყველე; მაგრამ, საუბედურროთ, რვაეჯერ ჩემი წინასწარმეტყველება გამტყუენებული და შერცხვენილი შეიქნა: ჩვენ ვერ ამოვირჩიეთ ქალაქის თავი.

კიდევ იქნება ქალაქის თავის არჩევა; მაგრამ ახლა კი ვეღარ ვბედავ გადაწყვეტით რისამე თქმას, რადგან ბეჯითად მხოლოთ ის ვიცი, რომ ჩვენმა პატიცემულმა ხმოვანებმა შეიძლება ამორჩიონ თავი და შეიძლება არ ამოირჩიონ.

მე რომ ხმოვანი ვიყო, ერთ წინადადებას შევიტანდი ქალაქის რჩევაში. მე ვიტყოდი:

„მოწყალენო ხელმწიფენო! ეს ორი თვე გადის, რაც ჩვენ თავს ვეძებთ და ვერ გვიპოვნია. მართალია, აღმოჩნდნენ ჩვენში ისეთი პირები, რომელნიც ღირსად დავინახეთ ჩვენ თაობისა; მაგრამ, საუბედურროთ, ვინც ჩვენ ღირსეულად ვიცანით, ისინი არ თანხმდებიან და ვისაც ორივე ხელით ჰსურს თაობა, იმას ჩვენ არ ვარჩევთ.

„სანამდინ უნდა ვიყენეთ ჩვენ, მოწყალენო ხელმწიფენო, ამისთანა მდგომარეობაში? ჩვენ, რასაკვირველია, უთავოდ ცხოვრება ძალიან ადვილად და ძალიან დიდხანსაც შეგვიძლიან. მაგრამ ხალხი, თფილისის ქალაქის ხალხი, ეს გაჭირება, ეს სიძვირე, ეს კიერსტები და ხაფანგისებური ჩვენი ქუჩები და სხვ. და სხვ., თხოულობენ თავს, თავს, რომელმანც იზრუნოს და იფიქროს.

„მაშასადამე დიდხანს მოდ და შეუძლებელია. ამის გამო, მოწყალენო ხელმწიფენო, მე შემომაქვს წინადადება, რომ დაუჩქაროთ ქალაქის თავის არჩევას. დაუჩქაროთ მით უფრო, რომ მე მყავს ისეთი კანდიდატი, რომლის ამორჩევაზედაც, უეჭველია, ყველა დაეკმაყოფილებით, რომელიც ყველას დაგაკმაყოფილებსთ... (ამ სიტყვებზე ყველა ხმოვანები უნებურად გამოაჭყეტდნენ თვალებს). დიახ, მოწყალენო ხელმწიფენო, მე ვიპოვნე ისეთი კანდიდატი, რომლის ამორჩევა არ აღძრავს თქვენში არც უთანხმოებას, არც ინტრიგებს და არც არავითარ უკმაყოფილებას...

დიდათ საიმედო ვაჟი ჯერ კიდევ დიდს ზრუნვაში ჩააგდებს ის თავის მშობლებს და გადიებს, სანამდის საკუთარს ფეხებზე სიარულს დაიწყებდეს. ეჭვი არ არის მალე ფეხის ადგმაში ბევრი წამქეზებელი და წამხალისებელიც ეყოლება.

„ახლა ტირნოვაში დიდი აღტაცება და სიხარულია. ეს გარემოება, რასაკვირველია, კარგი მომავლის მომასწავებელიც არის და თვით ევროპისა და ინგლისისათვის შეტად სასიხარულოა, რადგან ამ აღტაცებაში როგორც ევროპა ისე ინგლისი ხედავს, რომ ბოლგარიის ერს ნაციონალურის ცხოვრების და იმის ტანმთელათზრდის ნიშნები ეტყობა.

„ბანა არ ვიცით, რომ ბოლგარია მარტო იმითი არ დაკმაყოფილდება, რაც ამ წუთას და ამ ჟამათ ეკუთვნის; ის უფრო შეტს მოინდომებს, ვინამც წილად რგებია ახლანდელ გარემოებისაგან; შეიძლება პაწაწა ბავშვმა აღმოსავლეთის რუმელიის მშვენიერს სასძლოს სიყვარულით ცქერა დაუწყოს და ბალკანის შოვნის სურვილიც გულში ცეცხლად აეგზნეს და, რაც საკვირველმა ბავშვმა მოინდომა, თუ ყველა მაშინვე არ მისცეს, შეიძლება ამის გულისთვის ჭინჭყლობა დაიწყოს, იქნება თვითონ რუსის ჯარების შინ დაბრუნებაც მოუხერხებლათ გახადოს, იქნება ამით თავის თავსაც რამე უბედურება მიაყენოს და ევროპა კიდევ გააშფოთოს.

„მაგრამ მაინც-და-მაინც არც ამითი გაუჭირდება-რა საბოლოოთ. ინგლისი სრულებით არ ფიქრობს ამის გულისათვის ბოლგარიის ხალხზე გაფიცხებას და არც ფიქრობს, რომ ბერლინის ხელშეკრულობა ბალკანის ნახევარ-კუნძულის შესახებ შეუცვლელად დარჩეს. აქ ხომ საბოლოოთ არ არის ბალკანის საქმე გადაწყვეტილი. ეს გადაწყვეტილება მარტო გამოსაცდელათ არის დადგენილი და ბოლგარიის ერი ძალიან ჭკუიანათ მოიქცევა, თუ ჯერ-ჯეროობით დაემორჩილება ამ გადაწყვეტილებას.

„ინგლისი არც იმის წინააღმდეგია, რომ აღმოსავლეთის რუმელია შეუერთდეს ბოლგარიას და არც იმისი რომ არ შეუერთდეს. მომავალს კონგრესს უსათუოდ ექნება მიღებული ამ საქმის გადაწყვეტა. უალრესი ხალხთა შორისი ცხოვრების დაწესებულება ის არის, რომ ხალხთა შორის გადაწყვეტილებას ხალხები დაემორჩილონ“.

ამ შესანიშნავი სიტყვებიდან, ცხადათ სჩანს, რომ ინგლისი და იმის მთავრობა დიდათ თანაუგრძნობს ბოლგარიის ერის განთავისუფლებას; ინგლისს და იმის მთავრობას დიდათ უხარიათ, რომ ბოლგარიის ხალხში ხედავენ თვით-არსებობის ნიშნებს და იმათი საკუთარი ეროობის საქმის წარმატებას. ინგლისის მთავრობა არც იმაზეა უარს, რომ მთელი ბოლგარიის ქვეყნები, საცა კი მოიძევებიან, შეერთდენ; მაგრამ ის აცხადებს, ამჟამათ უმჯობესია, რომ ბოლგარიის ერი ჯერ თავის ქვეყნის განთავისუფლებით დაკმაყოფილდესო და მერე მომავალს ევროპის კონგრესში შეიძლებაო იმის შემოუერთებელი მაზრების საქმეც საბოლოოთ გადაწყდესო. ამ ახლად ადგენილს ხალხს ინგლისი ეალერსება და მომავალშიაც კიდევ უფრო კარგს ბედს უქადებს.

ამ ამბების შემდეგ ბევრი ჩვენი მკითხველთაგანი უსათუოდ იკითხავს, ვინ იყო ბოლგარიის ერი უწინდელს დროში, რა ისტორიული დანიშნულება ჰქონდა, როგორ ამაღლდა, როდის და რა გარემოებით დაეცხო და აწ რა იმედი აქვს იმაზე ევროპას?

ამჟამათ ბოლგარიის ერი მკვიდრათ დუნაის მდინარიდან მოკიდებული სამხრეთ ადრიანოპოლის ქალაქამდის და ცოტა იქითაც არის გაფრცელებული, ადრიანოპოლიდან არხიპელაგის ზღვამდის კი ისე მკვიდრათ არ არის, როგორც თვითონ ბოლგარიელები ამტკიცებენ; ამ მანძილზე უმრავლესობა ბერძნის, ოსმალოს და სხვა სლოვენის გვარის ერებია.

ბოლგარია განიყოფება ორ ნაწილათ: საკუთრად ბოლგარია ბალკანის ქედის ჩრდილოეთით დუნაის მდინარემდის და სამხრეთის ნაწილი ანუ რუმელია, რომლის სატახტო ქალაქიც ადრიანოპოლია.

ამ ჟამად განთავისუფლებულია მხოლოდ ჩრდილოეთის ბოლგარია ბალკანის მთამდის; მაგრამ განთავისუფლებულია ისე, რომ ბოლგარიის ახალმა მთავარმა, ვინც უნდა იყოს, სულთანს წლიური ხარჯი უნდა აძლიოს. სამხრეთის ბოლგარია ანუ რუმელია კი ოსმალეთის მფლობელობასა და გამგეობაში რჩება.

ღღევანდელი აღრიცხვით, ბოლგარიის ერი ორ მილიონს აღარ გადაემეტება. ბოლგარიის ენა ორ დიალექტათ არის გაყოფილი და გვარით სლოვენურია. ჩრდილოეთის დიალექტი უფრო რუსულ ენაზეა დაახლოებული; სამხრეთელები კი უფრო ბერძნულს ურევენ ლაპარაკში; და ორივე დიალექტებში კი ბევრი თათრული სიტყვებია შერეული.

ბოლგარიის ხალხი ქრისტეს დაბადების წინათ უგრის თუ ფინის ტომის ხალხებისიხან იყოო შემდგარი, რომელიც ბოლგისა და დონის მდინარეს შუა მრავლობდენ. ისინი ცხოვრობდენ პირუტყვის შენებით, და როგორც მწყემსები რუსეთის გადუწვდენელს მინდვრებზე დასდევდენ უკან თავიანთ პირუტყვის ჯოგებს. შემდეგ როცა გამრავლდენ, იწყეს თან-და-თან კავკასიისა და დუნაის მდინარისაკენ გადმოსახლება. საქვეყნო ისტორია იხსენებს, რომ 120 წელს ქრისტეს წინათ ერთი ურდო ბურლგარებისა წამოტანტალდა, გადმოვლო კავკასიის ქედი და ჩაესიაო სომხეთს. სომხეთის მეფემ არშაკ I დაასახლაო ეს ურდო რასხის მდინარეზე (არაქსზე). ამის შემდეგ ბოლგარებზე თითქმის არა არის-რა მოხსენებული მეექვსე საუკუნემდის ქრისტეს აქეთ.

619 წელს ქრ. აქეთ, ბოლგარიის ყაენის ოსრგანის თაოსნობით ბოლგარიის ერი საბოლოოთ დასახლდა ახლანდელს ბოლგარიაში მდინარის დუ-

---

„ეს ჩემი კანდიდატი გახლავთ... (ხმოვანები კიდევ უფრო გააფართოებდნენ თვალის კაკლებს, მოხუცებულები ლოკოკინის მსგავსად ხელს მიიდებდნენ ყურებთან, რომ უფრო კარგათ გაიგონონ).. ეს ჩემი კანდიდატი, მოწყალენო ხელმწიფენო, გახლავთ... ქალი!... ქალი, რომელიც...“

ამ დროს ყველანი ერთხმად მომაძახებდნენ:

„—არ გვინდა! არ გვინდა! ქალი უარესად აგვრევს!..“

და მეც, დანუგეშებული იმ აზრით, რომ ეს ჩემი წინადადება არც პირველი და არც უკანასკნელი იქნებოდა ქალაქის რჩევისაგან უკუ-გდებული, და რომ მე პატიოსნად აღვასრულე ჩემი მოქალაქობრივი მოვალეობა, დავჯდებოდი ისევ ჩემს ადგილზე და მოვისვენებდი..

მოვისვენებდი ისე, როგორც ბევრი სხვები არიან მოსვენებულნი; როგორც არიან მოსვენებული, მაგალითად, „თფილისის მოამბისა“ და „ოსბზორის“ რედაქტორები.

ეს ორი კვირა მიდის, რაც ხსენებული გაზეთები აღარ გამოდიან.

ბევრი ლაპარაკი და ბაასი აღძრა პირველში ამ გაზეთების შეჩერებამ. ვინ იცის—რას არ ამბობდნენ, რა მიზეზს არ მიაწერდნენ ამ გაზეთების შეჩერებას. ზოგს სჯეროდა ის მიზეზი, რომელიც გამოცხადებული იყო თვითონ რედაქციებისაგან, რომ „ჩვენ იძულებული ვართ ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო შევაჩეროთ გაზეთიო;“ მაგრამ ზოგი კი დაიკრავდა ჯიბეზე ხელს და ამბობდა: „ახჩა ოხტურის“ მიზეზი არისო; ზოგი კი ამტკიცებდა, რომ ბატონ რედაქტორებს მოსვენება მოუნდათ და თვითონ გაიკეთეს თავისთვის კანიკულებიო და სხვ. და სხვ.

მე რომ მკითხოთ—თუ ვინ არის ამათში მართალი, რასაკვირველია, როგორც ერთი რედაქციის ნაგლეჯთაგანი, ჩემ დღეში არ ვიტყვი, რომ რედაქცია სტყუის-მეთქი. არ ვიტყვი, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ვიცი „თფილისის მოამბეს“ თუ ფული დასჭირდა, იშოვნის და „ოსბზორის“ რედაქტორი უფ. ნ. ნიკოლაძე ისეთი დახელოვნებულია ფულის შოვნაში, რომ ქვასაც რომ მიადგეს, მგონია, იქიდამაც კი გამოიღოს ბაჯაღლო ოქროები...

როგორც უნდა იყოს, რა მიზეზიც უნდა იყოს, ცხადი ეს არის, რომ ეს ორი რუსული გაზეთი თფილისში ამ ჟამად შეჩერებულია.

ვის ეწყინა და ვის იამა ამ გაზეთების შეჩერება? ეწყინა, რასაკვირველია, ყველა ამ გაზეთების ხელის-მომწერლებს, რომელთაც ორგვარი საფუძველი აქვთ წყენისა: ერთი ეს, რომ ფული მიუციათ და გაზეთი აღარ მოსდით და მეორეც ის, რომ ყველა გაზეთს, რაც უნდა საძაგელიც იყოს, თავის მიჩვეული მკითხველები ჰყავს და ამათთვის დასაკლისია,

ნაისა და Oესსალიას Oორის ქვეყნებში. Bოლგარიის ყაენი Oრგანი ისე გაძლიერდა, რომ საბერძნეთის იმპერატორს ხარჯი დაადგა.

862 წელს ქრისტეს აქეთ ყაენმა Bოგორისმა მიიღო ქრისტიანობა, მოინათლა და დაირქვა Mიხაილ I; ამავე ყაენმა დაიდგა თავზე Bოლგარიის სამეფო გვირგვინი.

Mეცხრე საუკუნიდან დაწყებული მეცამეტე საუკუნემდის Bოლგარიის ქრისტიანი ერი და იმის მეფეები დიდს განცხრომაში იყვენ; იმათი ცხოვრება აყვავებული იყო და ერი თავისუფალი.

1285 წელს ქრისტეს აქეთ Bოლგარიის სამეფოს შეესიენ Mონგოლები, დაიპყრეს მთელი ქვეყანა, ყოველივე მოსწვეს, მოდაგეს და Bოლგარიის მეფეებს Mონების ულელი დაადვეს.

Aმ მდგომარეობაში იყო ეს ქვეყანა 1365 წლამდის ქრისტეს აქეთ. Aმ ჟამათ Aზიაში გაძლიერებული Oსმალები, როგორც Oვთის რისხვა შეესიენ Bალკანის ნახევარ-კუნძულს, Bოლგარიის მეფის გვარი ამოწყვიტეს და ქვეყანა დაიპყრეს.

Aმ დროდან მოკიდებული 1877 წლამდის, თითქმის მთელი ხუთასი წლის განმავალობა ეს ხალხი ქედ-მოხრილი და დამონებული იყო Oსმალეთის ხალხისაგან. Aმათთვის არც პატრონი იყო, არც გამკითხავი. Aბა ვინ იფიქრებდა, თუ ხუთასი წლის შემდეგ, ამ საწყალს დაჩაგრულს ერს გამოუჩნდებოდა ისეთი მფარველი, რომ მტრის ხელისაგან განთავისუფლებდა და ხელ-ახლათ აადგენდა ქვეყანაზე საცხოვრებლათ?!

Mაგრამ ქვეყნის ცხოვრების ბრუნვა ასეთია: როგორც კერძო კაცს ისე მთელს ერს იქიდან მოევლინება მხსნელი, საიდანაც ის არ ელის; ოღონდ რომ ხალხს თავის სიცოცხლის იმედი არ ჰქონდეს დაკარგული, ოღონდ მუდამ თავის შინაური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის შრომობდეს და ქვეყნის ბრუნვას თვალს ადევნებდეს.

Z. წერეთელი

ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

*** Gაზეთს „Kავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი გამოცხადება Sოხუმის მაზრის მთავრობისა:

„Sავი-ზღვის მაზრის ადმინისტრაცია სთხოვს ყველა ამ მხრის მემამულეებსა და აგრეთვე სხვებსაც, ვისაც გასული ომიანობის დროს რაიმე ზარალი მიეცათ, გამოგზავნონ ქ. Nოვოროსიისკში, Sავი-ზღვის ოკრუგის უფროსის სახელობაზედ, თხოვნა, რომელშიაც დაწვრილებით Mოხსენებული უნდა იყოს—თუ რა ზიანი მიეცა იმათ უძრავ ან Mოძრავ ქონებას და როგორ შეუძლია კომისიას შეიტყოს, რომ ნამდვილად ეს ზიანი მიეცა იმათ და სხვ.

„Aმ გვარი თხოვნების მიღებისათვის ვადა არის დანიშნული ამ წლის 20 მაისი. Kამისია ამ თხოვნების გასინჯვას მაისის 15-დამ დაიწყებს Sოხუმიდამ; სასურველია, რომ ამ გასინჯვის დროს თხოვნის შემომტანიც ადგილობრივ დაესწროს; მაგრამ, თუ ესენი არ დაესწრებიან, კომისია მაინც თავის მოქმედებას არ შეაჩერებს.“

*** Aმავე გაზეთში დაბეჭდილია Uმაღლესი ბრძანება, რომ დ. მ. Kავკასიის ნამესტნიკს ირრეგულიარული პოლკის პოლკოვნიკი თ. დ. Pავეკავაძე წარუდგენია წმ. Vლადიმირის მეოთხე ხარისხის ჯვარზე; მაგრამ ხელმწიფე Iმპერატორს არ უნებებია ამ წარდგენების დამტკიცება...

*** Pეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ Kუთაისის ებრაელების დამცველნი—უფ. Aლექსანდროვი და Kუპერნიკი ამ თვის 17-ს წამოსულან Pეტერბურღიდამ და ამ დღეებში Kუთაისში იქნებიან.

Aმ ფრიად საინტერესო საქმის განხილვის დროს ჩვენ გვეყოლება Kუთაისში რეპორტიორი, რომელიც დაწვრილებით მოგვწერს ყოველ გარემოებას საქმისას, სასამართლოში წარმოებას და ბოლო ნაჩენს კი ტელეგრამმით გავცნობებ.

*** Gორის მაზრიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ ორი-სამი თვის განმავალობაში იქითკენ ერთობ გახშირებულა ქვალის ავათმყოფობა; მაგრამ კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამას, ქვალი კი არა, ჭირი უნდა დაერქვასო, რადგან ვინც ავათ გახდა მქვალისგან, სრულებით აღარავინ გადარჩაო; დღეში უკანასკნელი ორი-სამი კუბო მიაქვთო. Rამდენიმე კაცი გადარჩა ამ ავათმყოფობასაო, მაგრამ ყველას, ქვალის შემდეგ, რაღაც შავი მუწუკი გამოუვიდა ყელში და ამ მუწუკმა მოჰკლაო.

Oითქმის მთლად Gორის უეზდი მოდებულია ამისთანა ავათმყოფობაო და განსაკუთრებით ოსებში არის ის გავრცელებულიო. Kარგი იქნებაო, გვწერს კორრესპონდენტი, რომ ექიმი მიუმატონ ჩვენში და ხალხისათვის საექიმო დარიგება გამოსცენო.

*** Kახეთიდამ გვწერენ, რომ ყოველადუსამღვდელოესია ეგზარხოსის ბრძანებით ამ თვის 15-ს ყოფილა Kახეთში ბლაღოჩინების ამორჩევა. Mომზეტებული ნაწილი ბლაღოჩინები, სხვა და-სხვა ოინებით, ისევ ძველები დარჩენო, როგორ მელთაც არც ხალხი ემადლიერება და განსაკუთრებით არც მღვდლებიო.

*** ხვალ, 26 თებერვალს, ქალაქის Rჩევა საკრებულოს სხდომაზე, სხვათა შორის, შემდეგს უფრო საინტერესო საგნებს განიხილავს:

Mოხსენება Gამგეობისა შტატის შეცვლაზედ.

Mოხსენება Gამგეობისა ქალაქის Gამგეობისათვის სახლის დაქირავებაზედ.

Wინადადება უფ. ღუბერნატორისა იმაზედ, რომ ქალაქმა მისცეს 12,000 მანეთი თეატრის შესაწევნელად და 2,060 მანეთი საზოგადო Bიბლიოთეკისათვის 1878 და 1879 წლებისათვის.

როდესაც დილას, ჩაიზე, გაზეთს ვერ გადაფურცლავენ.

ქალაქის მცხოვრებლები რომ უბნებათ გავყოთ, მე დარწმუნებული ვარ, რომ „Oფილისის Mოამბის“ შეჩერება ყველაზე უფრო Sუა-ბაზარსა და სოლოლაკს ეწყინა და „Oბზორის“ შეჩერება კი—Kალუჩი Bალკას, Mოსკოვის Bალკასა და სემინარიის უბანს...

Iმა კი ყველაზე უფრო, უეჭველია, უფ. Gორონოვს „Kავკაზის“ რედაქტორს, რომელსაც, ამბობენ, ამ ორი კვირის განმავალობაში სამასზე მეტი ახალი ხელის-მომწერლები შეემატაო.

Eრთი ჩინებული აზრი გავიგონე მე ამ დღეებში ერთი ამ დროებით შეჩერებულ გაზეთის, სახელდობრ „Oბზორის“, თაობაზედ. Eრთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა მითხრა:

— Oუმცა თქვენ და უფ. „Oბზორის“ რედაქტორი როგორლაც აღერღილათა ხართ ერთმანეთში და ერთი მეორის წინააღმდეგ უკანასკნელი ორ თვეში ერთხელ Mაინც გაინადირებთ; მაგრამ, როგორც ვხედავ, თქვენ ძველი მეგობრობა კიდევ სრულიად არ გაგიწყვეტიათ ერთმანეთში და ამიტომ ერთი რამ ურჩიეთ, იქნება თქვენი სიტყვა: დაიჯერეს:

—Uთხარით, რომ რადგან იმის გაზეთი ადგილობრივ წვრილმალ ინტერესებს არ ეხება, რადგან იმას ჰსურს მაღლა დაიჭიროს თავის დიდებული დროშა, ამის გამო ჩვენი ქვეყანა ერთობ ეიწრო ასპარეზია იმის მოქმედებისა და ლიტერატურულ მოღვაწეობისათვის და უმჯობესი იქნება Pეტერბურღში გადაიტანოს თავის გაზეთი, იქიდამ უქადაგოს მთელს ოთხმოც მილიონ ხალხიან Rუსეთს და ამ Rუსეთში ჩვენც მოვხვდებით, ჩვენც გვერგება ერთი ნაბერწკალი იმისაგან მოფენილის სხივისაგან! Eს ურჩიეთ და მე დარწმუნებული ვარ, რომ უფ. ნიკოლაძე, თუ არ დათანხმდება, იფიქრებს მაინც ამ საგანზე...

Aი ბეჭედით ვაცნობებ მეც უფ. ნიკოლაძეს ამ რჩევას; მართალია, იმის „Oბზორის“ აქედამ მოცილება ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ძალიან დაგვაკლდება, რადგან ნამდვილი გზის მაჩვენებელი, ლიტერატურული ზრდილობის მასწავლებელი და სხვ. აღარ გვეყოლება; Mაგრამ რა გაეწყობა, იმით ვინუგეშებთ თავს, რომ იმის ბრწყინვალე სხივით სხვები უფრო მრავალნი გათბებიან და იქიდამ იქნება ჩვენც ცოტა რამ გვერგოს. Aმას გარდა ხან-და-ხან Mორს სჯობია, რომ ყავდეს კაცს ზოგიერთი მეგობრები....

Aმ მოსვენებისა და უსაქმობის დროს იფიქროს ამ პროექტზე უფ. „Oბზორის“ რედაქტორმა, და ვინ იცის იქნება გადაწყვიტოს, რომ საადგომოთ თავის გაზეთი Pეტერბურღში აღადგინოს და იქიდამ გადმოგვხედოს...

სოლოლაკელი

მოხსენება ხმოვანის სუნდუკიანცისა ბალავინის პროსპექტის შეკეთების თაობაზედ და სხვ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

გაზეთს „ანდეპანდანს ბელჟში (ბელგიის დამოუკიდებლობა) დაბეჭდილია პარიჟიდამ 10 თებერვალს მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, მოყვანილია შემდეგი სიტყვები:

„ახლა, როდესაც პოლიტიკურ დანაშავეების საქმე გადაწყდა და ნაციონალურ კრებამ გადაწყვიტა 13,500 კაცში 12,300-ის პატიობა და საფრანგეთში-დაბრუნება, დანარჩენი 1,200 დამნაშავის ბედზე ბევრს აღარ ლაპარაკობენ. ყურადღება ახლა ადრინდელი მინისტრების-ბროჰლისა და ფურტუს სამართალში მიცემაზედ არის მიქცეული.

„მაგრამ ხალხი არც ამაზე ჰფიქრობს ბევრს. მომეტებულს ნაწილს ხალხისას მობეზრდა ამდენი პოლიტიკური ღელვა, ფაცა-ფუცი და მოძრაობა. რესპუბლიკა დამკვიდრდა, საფრანგეთს რესპუბლიკელები განაგებენ, — ახლა ჩვენს შინაგან საქმეებზე უნდა ვიზრუნოთო, ამბობ ხალხი. და ეს შინაგანი საქმეები არის: უკეთესს გზაზე დაყენება ახალხო განათლებისა, მეურნეობისა, აღებ-მიცემობისა, წარმოებისა, მუშა-ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება და სხ. და სხ. ვეყოფა რასაც ამდენ ხანს ვიბრძოდით შინაგან და გარეგან მტრებთანაო, ახლა ვიმუშაოთო. — აი, ეს არის ხალხის აზრი. ეს აზრი კარგათა აქვს გაგებული ახალ პრეზიდენტს საფრანგეთის რესპუბლიკისას უფ. ჟულ ბრევის, და, უეჭველია, რომ ის ისე იმოქმედებს, როგორც ხალხის მომეტებული ნაწილი თხოულობს...“

— ნაციონალურ კრებისაგან მიღებული კანონის პროექტი პოლიტიკურ დამნაშავეების პატიობის თაობაზედ მინისტრს ლე-რუაიეს სენატისათვის წარუდგენია დასამტკიცებელად. გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ სენატი ამ კანონის პროექტის დამტკიცებაში არავითარ დაბრკოლებას არ ნახავსო. შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტი მოაწერს ხელს და ამნაირად ამ პროექტს კანონის ძალა მიეცემა. მთავრობა ახლავე ამზადებს თურმე ხომალდებს ახალი კალედონიიდამ და მარტინიკიდამ პოლიტიკურ დამნაშავეების მოსაყვანად საფრანგეთში.

ოსმალეთი

ლონდონის გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომელშიაც იწერებიან, რომ ბოლოს ოსმალეთმა როგორც იქნა მიაქცია ყურადღება მცირე აზიაში რეფორმების შემოღებასაო. ხონთქარმა გამოსცა ირადე (ბრძანება), რომლის ძალითაც მცირე აზიაში ინიშნება ორი კომისია, რომელთაგან თითოეული ერთის ქრისტიანისა და ერთის მაჰმადიანისაგან იქნება შემდგარი და რომელთაც მინდობილი ექნებათ, რომ მოიყვანონ სისრულეში ყველა რეფორმები და ახალი წესები. ერთი ამ კომისიათაგანი დანიშნულია ალეპპოს და დიარბეკირისათვის და მეორე არზრუმისა და ვანისათვის.

განცხადებანი

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში — უფ. კ. მესხის მაღაზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გრიბოედოვისა. ნათარგმნი გრ. ა. წინიძლვაროვის-მიერ.

ფასი — ექვსი შაური

სოფეხთ ნერსესის სემინარიის პაპეჩიტლების სოვეტში, [illegible] 14 საღამოს, 7 საათზედ [illegible] ნული ტორგი უპერეტორშკოთ იჯარით მისაცემათ, თელეთის წმინდის გიორგის ეზოში, ერთი ფუქნისა თაკისის ერთის ოთახით.

მსურველს აღებისა იმ ფუქნისა შეუძლიან წაკითხვა პირობისა (кондиція) იმავე სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე კვირისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდგან ვიდრე 12 საათამდისინ. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაოგა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაერდოვის გაზეთის საააგენტოში — ბულვარზე.

ქუთაისში — უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი — ერთი აბაზი.

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

ალმანახი

შედგენილი

ბ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან

ფასი — ოცი აბაზი

(5—5)

„ჰაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

მ. ჯორჯაძისა

რკ. გზა	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					ბ.	კაპ.	ბ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18	-	-	-	-
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ამიერკავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვ, ოდესს, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთს, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქუთეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ერთ წიგნის	4
დ.ბ. ჭდილის (ხ

მი მისხალი) . | 8 |

მაზანდა

	მან.	კაპ.
თფილისი, 24 თებერვ.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	60
ფქვილი წოთელი . . .	1	35
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ამერიკისა, ფუთი .	7	40
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტალი ბამბა ფუთი.	9	60
მატყლი თუშური ფუთი	6	70
— თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
— ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	50
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
— ფხვნილი ფუთი . .	5	40
ყავა გრგვლი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	90
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაიდანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ოსტშაბათს: ვერა ოშევი და ბალევიჩი — შინაგ. ავად., ქიუჩარიანც — ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი — შინაგ. ა. ბახუტოვი — საბებრო და ბავშვის. პეუნოვი — თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ., ქიუჩარიანცი — ლიფლიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი - შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებრო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

Дозволено цензурою: Тифлисъ 24 Февраля 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.